წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 2 10 01/02/2016

მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარისწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად,

1. თანხმობა მიეცეს მუნიციპალიტეტის გამგებელს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უსასყიდლოდ აღნაგობის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალკაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 85.21.26.351) შემდგომში მასზედ განთავსებული შენობის დემონტაჟის და მის ნაცვლად ახალი შენობის „საზოგადოებრივი ცენტრის“ მშენებლობის მიზნით.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა დაუბრუნდეს (ს.კ. 85.21.26.351) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (წალკის მუნიციპალიტეტს).
3. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო 10 წლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემის თაობაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 იანვრის #1 10 განკარგულება.
4. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. #11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე